წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №4

ქ. წყალტუბო 24 თებერვალი, 2023 წელი

2023 წლის 24 თებერვალს, 14:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: კობა გურეშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: სერგო კირკიტაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი დოლიძე

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: არჩილ ღიბრაძე, მაკა ჭელიძე, რევაზ დიდავა, შალვა კილაძე, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციების თავმჯდომარეები: გიორგი ფაჩუაშვილი;

წევრები: ვლადიმერ ხურცია, ნაილი ჭოლაძე, ომარ სინაურიძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ხათუნა მაღლაკელიძე,ავთანდილ მხეიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ვეფხვია ბანძელაძე, ნარგიზა ტყაბლაძე, ნოდარ ასათიანი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:ლატავრა ბენდელიანი, ჯეირან ომანაძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, დავით ხიდეშელი,ზურაბ ლექვინაძე, ვასილ მხეცაძე, დევი დოლაბერიძე, ნინო ჭეიშვილი, ფიქრია ერემეიშვილი, თენგიზ გოგელია, ავთანდილ გაბუნია,სოფიო ბოლქვაძე, გალაქტიონ ხარაბაძე, რუსუდან მანაგაძე,ზურაბ იოსელიანი,გელა ბურჯალიანი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გრიგოლ ყურაშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი- მარეხ კანკაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი- მაკა თედორაძე,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი- ზურაბ მურვანიძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს დირექტორი ნინო ნემსწვერიძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის'' მმართველი ვერა ზურაბიანი, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი-გელა თათარაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მზია კიკალიშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაია ბერაძე და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა.
თეიმურაზ ჭეიშვილმა დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, რომ ერთი წელი შესრულდა უკრაინაში რუსეთის არმიის ფართომასშტაბიანი შეჭრიდან. ომს უკვე ემსხვერპლა უკრაინის ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე. მილიონობით უკრაინელი იძულებული გახდა საკუთარი სახლები დაეტოვებინა. ქართველი ხალხი მხარდაჭერასა და სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს აღნიშნა თეიმურაზ ჭეიშვილმა.
შემდეგ თეიმურაზ ჭეიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ.
/მომხს:არჩილ ღიბრაძე,თანამომხს:ანა გელენიძე/

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
/მომხს:არჩილ ღიბრაძე,თანამომხს: მაკა თედორაძე/

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
/მომხს:არჩილ ღიბრაძე/

4.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ.
/მომხს: მაკა ჭელიძე/

5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს:მარეხ კანკაძე/

6.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების შესახებ.
/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს:მარეხ კანკაძე/

7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7თებერვლის №21(გ-49.4923038001) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/ მომხს: რევაზ დიდავა/

8.ქალაქ წყალტუბოში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩის I შესახვევი, №1-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1368კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი#29.08.31.525) და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობის (საერთო ფართი 341.8 კვ.მ.) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს: რევაზ დიდავა/

9.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა- ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 1530 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის(უძრავი ქონების) საკ.კოდი №29.14.34.322) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

/მომხს:რევაზ დიდავა/

10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს.შალვა კილაძე,თანამომხს: ნინო ნემსწვერიძე/

11. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ლევან ჩანქსელიანი/

12. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2023 წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ მომხს: თეიმურაზ ჭეიშვილი/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

მომხრე -22

წინააღმდეგი -0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

რეგისტრაცია გაიარა, მაგრამ სხდომას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი ნარგიზა ტყაბლაძე.

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტის ზურაბ მურვანიძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ'' სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ არჩილ ღიბრაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-22
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ''მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
2.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის მაკა თედორაძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ''
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ არჩილ ღიბრაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-22
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
3.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-22
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

4.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-22
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღურების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

5. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მარეხი კანკაძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მოგებული პროექტის საფუძველზე მიღებული 60 000 ევროს ფარგლებში დაიწყება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეში, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში ამფითეატრისა და საპირფარეშოს რეაბილიტაცია-მოწყობა.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მოგებული ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსში თემაზე - ურბანულ გარემოში არსებული მწვანე სივრცეების ათვისება''-ს ფარგლებში ნიკო ლორთქიფანიძის სახლ- მუზეუმის ტერიტორიაზე შეიქმნა და მოეწყო საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, გრანტის ღირებულება 20 000ლარი.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-22
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
6. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების შესახებ.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-22
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
7. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7თებერვლის №21(გ-49.4923038001) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-22
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7თებერვლის

№21(გ-49.4923038001) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

8. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,ქალაქ წყალტუბოში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩის I შესახვევი, №1-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1368კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი#29.08.31.525) და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობის (საერთო ფართი 341.8 კვ.მ.) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-22

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,ქალაქ წყალტუბოში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩის I შესახვევი, №1-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1368კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი#29.08.31.525) და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობის (საერთო ფართი 341.8 კვ.მ.) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

9. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 1530 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის(უძრავი ქონების) საკ.კოდი №29.14.34.322) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 22

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 1530 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის(უძრავი ქონების) საკ.კოდი №29.14.34.322) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

10.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა კილაძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე-22

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს მიერ 2022 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

11. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჩანქსელიანის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 22

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

12. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თეიმურაზ ჭეიშვილის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2023 წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 22

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2023 წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე